

მოგესალმებით,


ეროვნული ბანკი ყოველკვარტლურად აქვეყნებს მონეტარული პოლიტიკის ანგარიშს, სადაც დეტალურად წარმოვადგენთ ინფლაციისა და სხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების პროგნოზებს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს მონეტარული პოლიტიკის ფორმირების პროცესში.

მოგეხსენებათ, რომ ეროვნული ბანკის მთავარი ამოცანა ფასების სტაბილურობის შენარჩუნებაა, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკისა და დასაქმების გრძელვადიანი ზრდის აუცილებელი წინაპირობაა.

2018 წლის განმავლობაში ინფლაციის მაჩვენებელი, პროგნოზების შესაბამისად, მიზნობრივი დონის - 3 პროცენტის ახლოს ნარჩუნდება. სექტემბერში წლიურმა ინფლაციამ 2.7 პროცენტი შეადგინა.

ბოლო პერიოდში გაზრდილია საგარეო სექტორიდან მომდინარე მაკროეკონომიკური რისკები (იხ. დიაგრამა 1), საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკური ზრდისა და ინფლაციის პროგნოზის მაჩვენებლები გაუარესებულა, რაც შესაძლოა საქართველოს ეკონომიკასაც გადმოეცეს და ინფლაციის მოლოდინების ზრდასა და სავალუტო ბაზრის მერყეობაზე აისახოს. მიუხედავად ამისა, საგარეო სექტორში გრძელდება დადებითი ტექნდენციები, თუმცა გარკვეული შენელება შეინიშნება. საქონლის ექსპორტის წლიურმა ზრდამ მესამე კვარტალში 21 პროცენტი შეადგინა, ხოლო ტურისტული შემოსავლები ამავე პერიოდში 12 პროცენტით გაიზარდა. ასევე ნარჩუნდება ფულადი გზავნილების დადებითი დინამიკაც (წლიური ზრდა 12 პროცენტი).

**დიაგრამა 1 კონსესუსის პროგნოზები ძირითადი სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში, 2018-2019<sup>1</sup>**




წყარო: Bloomberg

<sup>1</sup> ხუთი ძირითადი სავაჭრო პარტნიორის საშუალო შეწონილი (ევროკავშირი, თურქეთი, რუსეთი, უკრაინა და აშშ).

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფლაციის პროგნოზის თანახმად, არსებული საგარეო რისკების მიუხედავად, ინფლაციის მაჩვენებლის მიზნობრივი დონიდან მნიშვნელოვანი გადახრა მოსალოდნელი არ არის, ვინაიდან ერთობლივი მოთხოვნა ჯერ კიდევ სუსტია, რაც ინფლაციაზე ზრდის მიმართულებით მოქმედ რისკებს ამცირებს (იხ. დიაგრამა 2). არსებული პროგნოზებით, სხვა თანაბარ პირობებში, ინფლაცია წლის ბოლომდეც და საშუალოვადიან პერიოდშიც მიზნობრივი მაჩვენებლის ირგვლივ იმოძრავებს.


**დიაგრამა 2. ინფლაციის პროგნოზი**



*წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი*

რაც შეეხება მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს, ეროვნული ბანკის შეფასებით, გამკაცრებული პოლიტიკიდან ეტაპობრივი გამოსვლის საჭიროება კვლავაც დგას, თუმცა, რამდენად სწრაფად შემცირდება პოლიტიკის განაკვეთი, დამოკიდებული იქნება, ერთი მხრივ, ერთობლივი მოთხოვნის გაუმჯობესებაზე, ხოლო მეორე მხრივ, რეგიონში გაზრდილი მაკროეკონომიკური რისკების საქართველოს ეკონომიკაზე გადმოცემის სიძლიერეზე (იხ. დიაგრამა 3).

დიაგრამა 3 პოლიტიკის განაკვეთი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2018 წლის 24 ოქტომბერს მიზანშეწონილად მიიჩნია რეფინანსირების განაკვეთის უცვლელად, 7 პროცენტის დონეზე, დატოვება.

როგორც ადრე, მსურს აღვნიშნო, რომ პოლიტიკის განაკვეთის დიაგრამაზე წარმოდგენილი პროგნოზი არ წარმოადგენს ეროვნული ბანკის დანაპირებს მონეტარული პოლიტიკის შემდგომ გადაწყვეტილებებზე. ის ასახავს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის საორიენტაციო ტრაექტორიას დღეისათვის ხელმისაწვდომი ინფორმაციისა და პროგნოზების საფუძველზე.

ასევე მინდა შეგახსენოთ, რომ ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი არის 3 პროცენტი საშუალოვადიან პერიოდში 2018 წლიდან. საშუალოვადიან პერიოდზე ხაზგასმას აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან შოკები მუდმივად ხდება და ინფლაციაც თითქმის ყოველთვის განსხვავებული იქნება მიზნობრივი დონისგან: სხვადასხვა დროს მან შესაძლოა გადააჭარბოს, ან მიზნობრივი მაჩვენებელის ქვემოთ იყოს, თუმცა, ეროვნული ბანკის მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად, საშუალოვადიან პერიოდში ის ყოველთვის მიზნობრივი მაჩვენებელისაკენ იმობრავებს. ინფლაციის თარგეთირების რეჟიმში ფასების სტაბილურობა ყველაზე დაბალი საზოგადოებრივი დანახარჯებით მიიღწევა, ხოლო გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა, სხვა ალტერნატიულ რეჟიმებთან შედარებით, ყველაზე მაღალი და მდგრადია.

დიაგრამა 4. ინფლაციის მერყეობა



ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი არ ნიშნავს ინფლაციის მაქსიმალურ მაჩვენებელს. რომ დავაზუსტო, როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი არის 3 პროცენტი, ჩვენ არ ვგულისხმობთ ინფლაციას ნულიდან სამ პროცენტამდე, არამედ ვგულისხმობთ ინფლაციას 3 პროცენტთან ახლოს საშუალოვადიან პერიოდში.

საქართველოს ეროვნული ბანკი მომავალშიც დააკვირდება მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს და პროგნოზებსა და შეფასებებს მონეტარული პოლიტიკის განახლებული ანგარიშით წარუდგენს დაინტერესებულ საზოგადოებას.

გმადლობთ ყურადღებისთვის!